ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3035204

ნომერი: AR1468086

თარიღი : 05.01.2017

გაცემის თარიღი : 12.01.2017

გაცნობის თარიღი : 12.01.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებლი , მიმდებარედ , ტრამვაის გაუქმებული , ხაზის მიმდებარედ , (ნაკვეთი N10/4) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით სარჯველაძე პ/ნ 01009001387
- ლანჩხუთი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები
  - სამრეცხაო-ქიმწმენდა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39

დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით #01.72.14.011.451 (ფართობი 900 მ^2) დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მდებარეობს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2 (სსზ–2) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მიხედვით წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის შერეულ საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს (ტერიტორიულ–სტრუქტურული ზონა კარკასი, პერიფერიული). ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებია:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტია კ–1=0.7;
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტია კ–2=4.6;
- მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტია კ–3=0.2;

მოქმედი ფუნქციური ზონა (სსზ–2) შერჩეული ფუნქციის (ავტო-სამრეცხაოს) სამშენებლო განვითარებას არ ითვალისწინებს. ამასთან ზემოაღნიშნული კანონმდებლობის მიხედვით დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის გაბარიტული ზომები (ნაკვეთის სეღრმე) ვერ აკმაყოფილებს სამშენებლოდ განვითარებისთვის საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2 (სსზ–2)–ში დადგენილ ნორმებს.

დამატებით გაცობებთ, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე №541379 (12.02.13.) ბრძანებით გაცემულია საზოგადოებრივი კვების ობიექტის ასაშენებლად მშენებლობის ნებართვა, რომლითაც შეგიძლიათ ისარგებლოთ. იმ შემთხვევაში თუ გსურთ ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2 (სსზ–2)–ში განსაზღვრული ძირითადი ან სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სხვა სახეობებით, რეკომენდირებულია მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ ან ძველი აქტის განმცხადებელმა მოითხოვოთ აქტში ცვლილება საპროექტო ობიექტის ახალი ფუნქციის დაფიქსირებით. ამასთან გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ ნაკვეთზე შენობა–ნაგებობის განთავსების დროს უნდა იქნეს დაცული ნაკვეთის დასავკლეთით დასმული განაშენიანების რეგულირების ხაზი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნის დასაზუსტებლად. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მასალა, საკითხი დარჩეს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.